ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისათვის 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 460.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 2 454.9 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 052.6 ათასი ლარით ნაკლებია.

2016-2017 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 1.6%.

საქართველოს საპატრიარქო

საქართველოს საპატრიარქოსათვის 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 25 000.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 24 997.9 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 698.8 ათასი ლარით ნაკლებია.

2016-2017 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 92.4%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 7.3%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.3%.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა შეადგინა 2 500 ათასი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 000.0 ათასი ლარით ნაკლებია.


2016-2017 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატი

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 7 782.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 7 772.0 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 120.0 ათასი ლარით ნაკლებია.

2016-2017 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით – 0.3%.

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის 2017 წელს გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 180.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1 164.2 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 119.9 ათასი ლარით ნაკლებია.

2016-2017 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.2%.


სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 750.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 197.3 ათასი ლარი (სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ლიკვიდირებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N300 დადგენილების შესაბამისად).

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 250.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 411.8 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 238.2 ათასი ლარით მეტია.


2016-2017 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.3%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 3.6%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.1%.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი


პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის 2017 წელს გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 900.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1 838.1 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 133.7 ათასი ლარით მეტია.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა - 88.2% ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 11.8%.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა


საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის 2017 წელს გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 000.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 996.2 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 293.9 ათასი ლარით ნაკლებია.



სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა - 99.4%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.6%.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური


სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის 2017 წელს გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5 800.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 4 882.2 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 33.6 ათასი ლარით მეტია.



სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა - 95.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 4.3%.

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური


სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის 2017 წელს გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 6 400.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 5 818.0 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 445.0 ათასი ლარით ნაკლებია.



სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 75.6%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 24.4%.

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო


სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსათვის 2017 წელს გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 5 330.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 5 222.6 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 58.7 ათასი ლარით ნაკლებია.



სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.1%.

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური


სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის 2017 წელს გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 2 150.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1 807.9 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 660.0 ათასი ლარით მეტია.



სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 67.6%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 32.1%. „ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.2%.


ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდისათვის 2017 წელს გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 260.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 254.6 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.9 ათასი ლარით ნაკლებია.



სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია


სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის 2017 წელს გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 3 850.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 3 802.3 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 84.8 ათასი ლარით ნაკლებია.



სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.0%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 1.0%.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატისათვის 2017 წელს გამოყოფილმა სახსრებმა შეადგინა 3 600.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 3 376.3 ათასი ლარი, რაც 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1 675.6 ათასი ლარით ნაკლებია.



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 98.3%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 1.7%.

სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი

სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტისათვის 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით ასიგნებები განსაზღვრული არ არის, თუმცა 2017 წელს მიზნობრივი გრანტით მიღებული სახსრებიდან ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 502.1 ათასი ლარი. სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 99.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 0.2%

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“- სათვის 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით ასიგნებები განსაზღვრული არ არის, თუმცა 2017 წელს მიზნობრივი გრანტით მიღებული სახსრებიდან ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 108.3 ათასი ლარი.

ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებსა და დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის შესახებ

02 00 - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

06 03 - საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განპირობებულია იმით, რომ არ განხორციელდა საარჩევნო მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდების ცენტრის რეგიონში განთავსების საპილოტე პროექტი და არსებობდა ვაკანტური თანამდებობები.

21 00 - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით;

24 01 - ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით და ასევე, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი რიგი ღონისძიებების (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის N2570 განკარგულების შესაბამისად), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ალიანს ჯგუფი კაპიტალს“ შორის არსებული დავის დასრულებისათვის და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ასიგნებების გაზრდით;

24 08 - საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ასიგნებების ნაწილი გადანაწილდა სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების დასაფინანსებლად, ვინაიდან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეიცვალა არსებული პრიორიტეტები და ასევე, მუნიციპალიტეტების მიერ შემოთავაზებული ინფრასტრუქტურა არ აკმაყოფილებდა მსოფლიო ბანკის სტანდარტებს/კრიტერიუმებს რეგიონებში დაგეგმილი სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიებისა და ინოვაციების ცენტრის გასახსნელად;

24 10 - ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია - მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე, სარკინიგზო მაგისტრალის თოვლით დანამქვრისგან დამცავი დამატებითი ნაგებობების მშენებლობისათვის, საჭირო 96 ერთეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებთან მიმდინარეობდა შეთავაზება/მოლაპარაკებები. 2017 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დროის სიმცირის გამო ვერ განხორციელდა მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში წარმოქმნილი რესურსი გადანაწილდა სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რამაც განაპირობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა;

24 12 - საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით, ასევე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის

საჭირო გარემოს შესაქმნელად ასიგნებების გაზრდით. სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

24 13 - ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD) - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „Georgian National Innovation Ecosystem“ (GENIE) პროექტის პირველი კომპონენტით რეგიონებში დაგეგმილი 15 ცენტრის ნაცვლად წლის ბოლომდე დაიგეგმა 3 ინოვაციების ცენტრის შექმნა (შერჩეული 15 შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დასადგენად ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა მხოლოდ 5 კონსტრუქციულად მდგრადი შენობა);

24 20 - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობა - „სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 მაისის №850 განკარგულების აღსრულების მიზნით, პროგრამულ კლასიფიკაციას დაემატა აღნიშნული პროგრამული კოდი და სხვა პროგრამულ კოდებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე განხორციელდა ასიგნებების გამოყოფა, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა. ხოლო დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ინვესტორის მიერ ვერ განხორციელდა საინვესტიციო ხელშეკრულების ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილი წინასამშენებლო ფაზის ყველა სამუშაოს შესრულების ვადების დაცვა და მოთხოვნილ იქნა რიგი ვალდებულებების გადავადება 2018 წელზე (ვერ მოხდა სასესხო და საკონტინერო ტერმინალის ოპერატორის ხელშეკრულებების შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან და შესაბამისად ტექნიკური/იურიდიული კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა).

25 06 - იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საბოლოო ანგარსწორება რამდენიმე გარდამავალ ხელშეკრულებაზე, ხოლო დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვით;

26 01 - სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან თანხების გამოყოფით;

26 05 - ელექტრონული მმართველობის განვითარება - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

26 09 - მიწის ბაზრის განვითარება (WB) - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის დაკავშირებულია არაერთი ტენდერის ჩაშლით (მიზეზი - ბაზარზე არსებული კომპანიების არაკომპეტენტურობა, ტექნიკური აღჭურვილობის არქონა და გამოუცდელობა), რის გამოც ვერ მოხერხდა 2017 წელს დაგეგმილი სამუშაოების სრულად განხორციელება;

26 10 - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

26 12 - სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

27 01 03 - პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფით.

29 07 - სამხედრო მრეწველობის განვითარება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით ასიგნებების გაზრდით სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით;

29 08 - საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG) - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვით;

30 04 - შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია სამინისტროს თანამშრომელთა საზღვარგარეთ გადაუდებელი მკურნალობის დაფინანსების მიზნით ასიგნებების გაზრდით, სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

30 05 - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად ასიგნებების გადანაწილებით, სხვა პროგრამული კოდების ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

32 02 06 - მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოებს გრიფის მოქმედების 6 წლიანი ვადა გაუგრძელდათ 1 წლით, შესაბამისად სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების ახლით ჩანაცვლება საანგარიშო წელს აღარ განხორციელდა და აუთვისებელი რესურსის გადანაწილება მოხდა სხვა პრიორიტეტულ პროგრამა/პროგრამებში

32 02 07 - საზაფხულო სკოლები - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ცვლილება პრიორიტეტების მიხედვით. დაიგეგმა და განხორციელდა ქვეყნის ტერიტორიაზე ფართო მასშტაბიანი პროექტი მოსწავლეთა სკოლა/ბანაკები „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“, რომლის მიზანს წარმოადგენდა აქტიური დასვენებისა და განათლების პროცესის შერწყმით

მოსწავლეთა სხვადასხვა სოციალური და საგნობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.

32 02 13 - სკოლების საგრანტო დაფინანსება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ძირითად ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ სოფელსა და დაბაში მდებარე მცირეკონტინგენტიანი სკოლები, რომლებსაც ნაკლები გამოცდილება ჰქონდათ პროექტების განხორციელებაში, ამიტომ არ მოხერხდა დაგეგმილი რაოდენობის პროექტების დაფინანსება. შესაბამისად აუთვისებელი რესურსის გადანაწილება მოხდა სხვა პრიორიტეტულ პროგრამაზე/პროგრამებზე

32 02 14 - ელექტრონული სწავლება (e Learning) - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საანგარიშო პერიოდში მუშაობდა დისტანციური სწავლების ოპტიმალურ სტანდარტზე, რის შედეგად გამოვლინდა საკითხის/საკითხების რამდენიმე ალტერნატიული გადაწყვეტა და ასევე, რიგი ინფრასტრუქტურული შეუსაბამობები. ამასთან, მიმდინარეობდა მსხვილ საერთაშორისო კომპანიებთან მოლაპარაკება მრჩეველთა საბჭოს ფორმირებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის სწრაფი გადაწყვეტილება არაოპტიმალურად იქნა მიჩნეული და პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები გადანაწილდა სხვა პრიორიტეტული პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებისთვის.

32 04 05 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან თანხების გამოყოფით, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

32 05 05 - მეცნიერების პოპულარიზაცია - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელებით (ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე), ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის - ტენდერის შედეგად წარმოქმნილ ეკონომიასთან, რომელიც წარმოიქმნა „სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ შესყიდვის დროს;

32 07 02 02 - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 2017 წლის განმავლობაში ვერ განხორციელდა დაგეგმილი ზოგიერთი პროფესიული სასწავლებლების დაფუძნება, რის გამოც წარმოიქმნა ეკონომია და „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს N1672 განკარგულების შესაბამისად აღნიშნული ეკონომია მიმართულ იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების გასაზრდელად.

32 07 02 03 - უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის N289 დადგენილებით შექმნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსების გამოყოფის საკითხების შემსწავლელი

უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის მიღების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2586 განკარგულების შესრულების მიზნით გაიზარდა პროგრამული კოდის ასიგნებები, რამაც გავლენა იქონია დაზუსტებული გეგმის მოცულობაზე.

32 07 02 04 - სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო სხვადასხვა რეგიონში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ახალი რეგიონული სასწავლო ცენტრების მშენებლობა, რომელიც ვერ განხორციელდა და აუთვისებელი რესურსი გადატანილ იქნა შვიდი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების დასაფინანსებლად.

32 07 02 05 - საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზე გამოცხადებული ტენდერები დასრულდა უარყოფითი შედეგებით, შესაბამისად ვერ მოხერხდა გეგმის სრულად ათვისება და აუთვისებელი რესურსის გადანაწილდა სხვა პრიორიტეტულ პროგრამაზე/პროგრამებზე;

32 09 - თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P) - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია იმით, რომ პროექტის ფარგლებში საანგარიშო წელს დაგეგმილი იყო სამი (საპილოტე) საჯარო სკოლის გამაგრება/სრული რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა. ბანკსა და ესპანურ საპროექტო ორგანიზაცია „ეუროსტუდიოს“ შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად აღნიშნულ კომპანიას დაევალა საკუთარი ძალებით, როგორც დამატებითი სამუშაო, შეესრულებინა შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და გეოლოგიური კვლევების ჩატარება. შესაბამისად, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი ვერ მოხერხდა 2017 წლის მეორე ნახევრისთვის (პროექტირების დასრულების ვადა).

32 10 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank) - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის სხვაობა გამოწვეულია დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვით;

34 03 - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

35 01 03 - დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

35 03 02 05 - პროფესიულ დაავადებათა პრევენცია - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს №389 დადგენილებით, პროფესიულ დაავადებათა პრევენციის პროგრამის „საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მომზადების“ კომპონენტი (რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ევროასოცირების ხელშეკრულებების ვალდებულების შესასრულებლად, ნორმატიული აქტების და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების

პროექტების შემუშავების/გადამუშავების უზრუნველსაყოფად) მოდიფიცირდა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის“ კომპონენტად. კომპონენტის ფარგლებში კომპლექსურად უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკითხების საკანონმდებლო ბაზის განახლება, გამოყენებულიყო საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილება და აყვანილიყო ასევე ადგილობრივი კადრები, რომლებიც მათთან ერთად იმუშავებდნენ. ვინაიდან, კომპონენტის ფარგლებში ადგილობრივი კადრების დასაქმება განხორციელდა ნოემბრიდან, პროგრამაში წარმოიქმნა ეკონომია და ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

35 03 02 07 - ტუბერკულოზის მართვა - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

35 03 02 08 - აივ ინფექცია/შიდსის მართვა - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

35 03 02 09 - დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის „მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა“ კომპონენტით განსაზღვრული სერვისი 2017 წლის 1 მარტიდან მიეწოდება „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ პროგრამიდან (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 თებერვლის N103 დადგენილება);

35 03 02 12 - C ჰეპატიტის მართვა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტების კონსულტაციების საფუძველზე, დიაგნოსტიკის კომპონენტში განხორციელებულმა ცვლილებამ (როგორც მკურნალობაში ჩართვამდე საჭირო კვლევების, ასევე, მონიტორინგის სქემების გამარტივების კუთხით) გამოიწვია კვლევების ღირებულების შემცირება. შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

35 03 03 11 - ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა - საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N209 დადგენილება) აღნიშნული პროგრამა შეიქმნა და მისი განხორციელება დაიწყო 2017 წლის აპრილიდან.

35 03 04 - დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები სრულად ვერ განხორციელდა, რადგან პროგრამაში ჩასართავად მაძიებლების მომართვიანობა იყო ნაკლები (მაძიებლებმა, რომლებმაც ვერ მოიპოვეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი, შესაბამისად ვერ გაიარეს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამა). შესაბამისად, წარმოქმნილი რესურსი გამოყენებული იქნა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში განსახორციელებელი აუცილებელი ხარჯების დასაფინანსებლად.

35 03 05 - ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა (II ფაზა) (KfW) - ქ. თბილისში ტუბერკულოზის ეროვნული სათაო/რეფერენს ლაბორატორიის მშენებლობა ხორციელდება გერმანიის

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და საქართველოს მხარის თანადაფინანსებით (დასაფარია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები). ვინაიდან დონორის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები და დღგ-ს გადახდაც უნდა აღრიცხულიყო ერთ პროგრამულ კოდში, გაიზარდა კოდის ასიგნებები, რამაც განაპირობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვით;

35 04 - სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ:

- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ რუხში მშენებარე მრავალპროფილიანი საუნിവერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოები (ნაწილობრივი დაფინანსება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შედეგად არ დაფინანსდა სრულად;
- ✓ ზოგიერთი სამედიცინო პუნქტებისათვის სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები დასრულდა უარყოფითი შედეგით;
- ✓ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მართვაში არსებული ლანჩხუთის სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო რენტგენოგრაფიული სისტემის შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერი უშედეგოდ დამთავრდა;
- ✓ სატენდერო პროცედურებისათვის საჭირო არასაკმარისი დროის გამო არ გამოცხადდა ტენდერი სსიპ-საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისების აღჭურვისათვის (ავეჯი, საოჯახო ტექნიკა და ინვენტარი).

შესაბამისად, ასიგნებები გადანაწილდა სამინისტროს სხვა პროგრამულ კოდებზე.

35 05 - შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „შრომის ბაზრის ანალიზის, ინფორმაციული სისტემის დანერგვა/განვითარების პროგრამას“ 2017 წლის ივნისიდან ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ასევე სამინისტროს მიერ მომზადებული და საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში ინიცირებული „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მანდატის გაზრდასა და ინსპექტირების ნებაყოფლობითი ხასიათის სავალდებულოდ შეცვლას აზრთა სხვადასხვაობის გამო შეყოვნდა. აღნიშნულმა კი, ზეგავლენა მოახდინა შესამოწმებელი საწარმოების რაოდენობაზე და სამივლინებო თანხების ათვისებაზე. შესაბამისად, წარმოქმნილი რესურსი გამოყენებული იქნა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში წარმოქმნილი აუცილებელი ხარჯების დასაფინანსებლად.

36 02 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 2017 წელს გათვალისწინებული იყო ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსება ერთდროულად ევროკომისიის გრანტით და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხით. სასესხო ხელშეკრულების პირობების შეთანხმება და ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურები გაგრძელდა 2017 წლის ბოლომდე (ხელშეკრულებას ხელი მოეწერა მხოლოდ 2018 წლის 5 იანვარს). შესაბამისად, 2017 წელს

ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსება ევროკომისიის გრანტის ფარგლებში ვერ განხორციელდა, რამაც განაპირობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა.

36 03 02 - საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის სხვაობა გამოწვეულია დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვით;

36 03 03 - 220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის სხვაობა განპირობებულია: ა) განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში პროექტის შესრულების ფაქტიური მონაცემებით; ბ) სამუშაოების შესყიდვა განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება საერთაშორისო სატენდერო პროცედურების შესაბამისად, რის გამოც ხშირად სამუშაოების შესრულება არ ემთხვევა ხელშეკრულებით გაწერილ გეგმას.

36 03 04 - ჩრდილოეთის რგოლი ეგზ (I ფაზა) (EBRD, KfW) - განპირობებულია: სატენდერო და პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის სავალდებულო პროცედურების გამო 2017 წელი ძირითადად დაეთმო პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებს და მათი დასრულების შემდეგ, პროექტის ძირითადი ნაწილის განხორციელება დაიწყება 2018 წლიდან. აღნიშნულმა განაპირობა სხვაობა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის.

36 03 05 - 500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო (WB) - განპირობებულია: სატენდერო და პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის სავალდებულო პროცედურების გამო 2017 წელი ძირითადად დაეთმო პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებს და მათი დასრულების შემდეგ, პროექტის ძირითადი ნაწილის განხორციელება დაიწყება 2018 წლიდან. აღნიშნულმა განაპირობა სხვაობა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის.

36 03 06 - გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) - განპირობებულია: სატენდერო და პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის სავალდებულო პროცედურების გამო 2017 წელი ძირითადად დაეთმო პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებს და მათი დასრულების შემდეგ, პროექტის ძირითადი ნაწილის განხორციელება დაიწყება 2018 წლიდან. აღნიშნულმა განაპირობა სხვაობა დამტკიცებულ, დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის.

37 05 05 - დანერგე მომავალი - პროექტის ინტენსივობიდან გამომდინარე საჭირო გახდა პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა, რამაც გამოიწვია სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის;

37 05 06 - ქართული ჩაი - პროექტის ინტენსივობიდან გამომდინარე საჭირო გახდა პროგრამული კოდის ასიგნებების გაზრდა, რამაც გამოიწვია სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის;

37 05 07 - სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება - ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პროექტების განხორციელებას სჭირდება 1 წელი და მეტი პერიოდი. თითოეულ გასაცემ ტრანშს გააჩნია ინდივიდუალური წინაპირობები და მათი შესრულების ვადები დამოკიდებულია, როგორც ბენეფიციარზე, ისე განსახორციელებელი პროექტისთვის საქონლისა და მომსახურების მომწოდებელ კომპანიებზე. ასევე, ვინაიდან პროექტები ხორციელდება რეგიონებში, პროექტების განხორციელების ვადაზე გავლენას ახდენს კლიმატი და სხვა ფაქტორებიც. ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ვინაიდან გამოყოფილი თანხების წლის განმავლობაში სრული საკასო

ათვისება ვერ ესწრებოდა და სხვა პროექტებში საჭიროება გაჩნდა თანხების დამატების, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თავისუფალი რესურსების სხვადასხვა პროგრამულ კოდებზე გადანაწილების შესახებ.

37 06 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების მიზნით გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი („საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1385 განკარგულება). ამასთან, თაფლის ერთიანი საწარმოს საპროექტო სამუშაოების გაჭიანურებისა და აღნიშნული მიზეზით პროექტზე ექსპერტიზის გვიან ჩატარების გამო, საწარმოს სამშენებლო სამუშაოებზე სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ტენდერი გამოცხადდა 2017 წლის დეკემბერში და ტენდერის მოცულობითი თანხიდან გამომდინარე, ვადამ გადაიწია 2018 წელს. აღნიშნული ფაქტორი და ის გარემოება, რომ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს“ მიერ მომზადებული პროექტის „საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა სავარაუდოდ 10 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში“ განხორციელება არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული, გავლენა იქონია საკასო მაჩვენებელზე.

37 07 02 - სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია - „მპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალის გაზრდისა და ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის N93 განკარგულებაში ცვლილების შერტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის N2281 განკარგულების თანახმად 3.0 მლნ ლარით გაიზარდა მელიორაციის სუბსიდიის დაფინანსება, რამაც განაპირობა სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის.

37 07 05 - ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ORIO) – პროექტის ფარგლებში კომპლექსური აღწერისა და მიწათმფლობელობის შეფასების პროცესმა გამოიწვია პროექტის გახანგრძლივება 9 თვის ვადით, რამაც გამოიწვია შემცველი ექსპერტების მოძიება და კანდიდატურების დამტკიცება. აღნიშნული პროცედურა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, რის გამოც ვერ განხორციელდა საინჟინრო პროექტის მომზადების სამუშაოები. აღნიშნულმა გავლენა იქონია საკასო მაჩვენებელზე.

38 03 - დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის სხვაობა გამოწვეულია დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვით;

38 05 - ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

38 06 - გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის სხვაობა განპირობებულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით.

38 08 - გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა - სხვაობა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით.

39 01 - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით, ხოლო სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით საკასო ხარჯის ნაწილში.

40 03 - სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო - ზოგიერთი ღონისძიებების განსახორციელებლად შეიქმნა აუცილებლობა აღნიშნული კოდის ასიგნებების გაზრდაზე, მაგრამ კონტრაქტორის მიერ დამატებითი მოთხოვნების წამოყენების გამო შესაბამისი ხელშეკრულება არ იქნა გაფორმებული. აღნიშნულმა გავლენა იქონია დამტკიცებულ, დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებზე.

41 00 - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია აპარატისათვის საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული მიზნობრივი გრანტების ათვისებით;

45 02 - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ საპატრიარქოს უწყებათა ელექტრონული მომსახურების და ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტის ასიგნებების შემცირების ხარჯზე ცენტრის ასიგნებების გაზრდით, მიმდინარე და სარემონტო სამუშაოების ხარჯების დასაფარად;

49 00 – სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო - დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის შეუსაბამობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N300 დადგენილების შესაბამისად.

56 00 - სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა ძირითადად განპირობა სამსახურში არსებულმა ვაკანსიებმა.

60 14 - სიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დაფინანსება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია

63 00 - სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი - სხვაობა დამტკიცებულ, დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული მიზნობრივი გრანტების ათვისებით;

65 00 - სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ - სხვაობა დამტკიცებულ, დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული მიზნობრივი გრანტების ათვისებით.